

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

ტურიზმის ორგანიზების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმის დარგის განვითარების, ხარისხიანი და სტანდარტებთან შესაბამისი პროდუქციითა და მომსახურებით მომხმარებელთა უზრუნველყოფის, კერძო ინიციატივითა მხარდაჭერის, ხელისუფლების ორგანოთა, მეწარმე სუბიექტთა და ამ სუბიექტთა გაერ-თიანებებთან თანამშრომლობის საფუძველზე დარგის თვითრეგულაციის მიზნით ეს კანონი, “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ” საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმის ორგანიზების პრინციპებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა, აგრეთვე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილ-ლობრივი თვითმმართველობის ორგანოების (შემდგომში – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები) კომპეტენციას და არეგულირებს ტურიზმის დარგში წარმოშობილ ურთიერთობებს.

მუხლი 1. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ტურიზმი – ადამიანის თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება თავისი საცხოვრებელი ადგილიდან დასვენების, გაჯანსაღების, ბუნების, ისტორიული და კულტურული ძეგლების დათვალიერების მიზნით;

ბ) შიდა ტურიზმი – საქართველოში მცხოვრები ფიზიკური პირებისათვის გაწეული ტურისტული მომსახურება მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, ქვეყნის საზღვრებში;

გ) ტურისტი – ფიზიკური პირი, რომელიც იმყოფება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ, დასვენების, საქმიანი თუ სხვა მიზნით, ვადით არანაკლებ 24 საათისა და არა უმეტეს ერთი წლისა – უწყვეტად და ყოფნის ადგილას მათი საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი (გარდა სწავლისა და სამეცნიერო-კვლევითი მიზნისა). ეს წესი არ ვრცელდება პირზე, რომელიც მუდმივ საცხოვრებელ ადგილად აირჩევს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დარეგისტრირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

დ) არაორგანიზებული ტურისტი – ტურისტი, რომელიც მოგზაურობს ინდივიდუალურად, ტურისტული საგზურის და/ან სამარშრუტო წიგნაკის გარეშე;

ე) ორგანიზებული ტურისტი – პირი, რომელსაც შეძენილი აქვს ტური (ტურისტული საგზური), ანუ რომლის მოგზაურობა ორგანიზებულია ტურისტული სუბიექტის (ფირმის, საწარმოს, ორგანიზაციის, ტუროპერატორის და სხვა) მიერ და იღებს მისგან კომპლექსურ მომსახურებას;

ვ) ტურისტული პროდუქტი – ტურისტული მომსახურების (კვება, ღამისთევა, სატრანსპორტო მომსახურება, ექსკურსია და სხვა) არანაკლებ ორი კომპონენ-ტისაგან შემდგარი კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ტურისტის მოთხოვნი-ლებათა დასაკმაყოფილებლად მისი მოგზაურობისა და დასვენების დროს და რომლის ღირებულება შედის ტურისტული საგზურის ფასში;

ზ) ტურისტული საგზური (ვაუჩერი) – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ტურისტის სტატუსს, მისთვის გასაწევი მომსახურების კატეგორიას და ამ კატე-გორიით მომსახურების გარანტიას;

თ) ტური – კონკრეტული ვადით, განსაზღვრული მიზნითა და მარშრუტით მოგზაურობა, რაც უზრუნველყოფილია ტურისტული პროდუქტით;

ი) ტურისტული მარშრუტი – ტურისტების ან სატრანსპორტო საშუალებების გზა განსაზღვრული მარშრუტით, კონკრეტული დროის განმავლობაში, უზრუნველ-ყოფილი კომპლექსური მომსახურებით (დაჯავშნა, ტრანსპორტი, დაბინავება, კვება და ა.შ.), განპირობებული ტურის პროგრამით (ტურისტის ვაუჩერით);

კ) ტურისტული საქმიანობა (ტურისტული მომსახურება) – ტურისტული საქმიანობის სუბიექტის მიერ ტურისტთა განთავსების, კვების, ტუროპერატორული, ტრანსპორტირების, საექსკურსიო, გამაჯანსაღებელი, რეაბილიტაციის, სარეკლამო-საინფორმაციო, კულტურული, სპორტულ-საყოფაცხოვრებო, გასართობი და ა.შ. მიზნით გაწეული მომსახურება, რომელიც მიმართულია ტურისტის მოთხოვნი-ლებათა დასაკმაყოფილებლად;

ლ) დარგის სუბიექტი (ტურისტული საქმიანობის სუბიექტი) – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ეწევა ტურისტულ საქმიანობას;

მ) ტუროპერატორი – იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც ახორციელებს ტურისტული პროდუქტის ფორმირებასა და რეალიზაციას;

ნ) ტურაგენტი – იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც ახორციელებს ტურისტული პროდუქტის რეალიზაციას;

ო) ტურისტული რესურსები (ტურისტული საქმიანობის ობიექტები) – ბუნებრივი, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი და სოციალურ-საყოფაცხოვ-რებო რესურსების და ინფრასტრუქტურის ერთობლიობა, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტის მოთხოვნილებებს;

პ) ტურისტული ინდუსტრია – ტურისტული საქმიანობის სუბიექტების, ობი-ექტების ერთობლიობა და ტურისტული პროდუქტი;

ჟ) ტურისტული ბაზარი – ტურისტული საქმიანობის სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების მიმოქცევა;

რ) გიდ-თარჯიმანის მომსახურება – პროფესიონალურად მომზადებული ფიზიკური პირის საქმიანობა ტურისტული, ისტორიული, არქიტექტურული, კულტუ-რული და სხვა ღირებულებების გაცნობის მიზნით;

ს) საექსკურსიო საქმიანობა – იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ ადგილსამყოფელ ქვეყანაში (ადგილზე) მოქალაქეთათვის კულტურული, ისტორი-ული, არქიტექტურული და ტურისტული რესურსების გაცნობის მიზნით საქმიანობის ორგანიზება;

ტ) ექსკურსია – მოგზაურობა კულტურული, ისტორიული, არქიტექტურული და სხვა ობიექტების გაცნობის, აგრეთვე სპორტული ან დასვენების მიზნით;

უ) დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტით განსაზღვრული ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო მმართველობის ფუნქციებს ტურიზმის და საკურორტო საქმიანობის სფეროში.

მუხლი 2. ტურისტული მომსახურება

1. ტურისტული მომსახურება ხორციელდება ჯგუფური და/ან ინდივიდუალური, აგრეთვე ორგანიზებული და/ან არაორგანიზებული ტურისტული მოგზაურობის პროცესში.

2. ორგანიზებული ტურისტული მომსახურება ტურისტული საქმიანობის სუბიექტსა და ტურისტს შორის ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 3. ტურიზმის რეგულირების პრინციპები

1. ტურიზმის რეგულირების პრინციპებია:

ა) სამეწარმეო თავისუფლება;

ბ) დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დარგის სუბიექტებთან (მათ გაერთიანებებთან) პარტნიორობა და თანამშრომლობა;

გ) დარგის თვითრეგულაცია;

დ) კონკურენციისა და თვითრეგულაციის პროცესში დარგის სუბიექტებისა და მათი გაერთიანებების მიერ დამკვიდრებული სტანდარტების გათვალისწინება (ან აღიარება).

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ტურისტული საქმიანობის გაშლის, რეგულირების პრინციპების დაცვის, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში დარგის სუბიექტთა და მათი გაერთიანებების მონაწილეობისათვის.

მუხლი 4. ტურიზმის რეგულირება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ახორციელებს ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის საკანონმდებლო რეგულირებას საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად.

2. ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა:

ა) ამტკიცებს ტურიზმის განვითარების კონცეფციის ძირითად მიმართულებებს, მისი განხორციელებისათვის მიზნობრივ პროგრამებს;

ბ) კოორდინაციას უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას;

გ) ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმის სფეროში მეწარმე სუბიექტთა სამეწარმეო-ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირებას;

დ) უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებას, ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლების და მუზეუმების მოვლა-პატრონობას;

ე) ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმისა და ტურისტული ობიექტების განთავსებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციის საშუალებათა განვითარებას;

ვ) ქმნის სათანადო პირობებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარებისათვის;

ზ) მონაწილეობას ღებულობს დარგის ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს ტურისტულ ბაზარზე ხარისხიანი ტურისტული პროდუქტის მიმოქცევას;

ი) ამყარებს კავშირებს საქართველოს, უცხო სახელმწიფოთა, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო პროფილურ (ტურიზმის სფეროში მომუშავე ან ტურიზმის დარგის მარეგულირებელ) ორგანიზაციებთან (დაწესებულებებთან).

3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

ა) ხელს უწყობენ ტურისტული საქმიანობის გაშლას. ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს მიმართავენ ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის;

ბ) მხარს უჭერენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურისტული ორგანიზაციების საქმიანობას, ქმნიან სათანადო ბაზას ტურიზმის დარგში სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისა და განვითარებისათვის;

გ) ხელს უწყობენ ტურისტული მომსახურების ბაზარზე არსებული დადებითი გამოცდილების განვითარებას;

დ) რეკლამას უწევენ ტურიზმს და ტურისტული საქმიანობის ობიექტებს, დაინტერესებულ პირებს აწვდიან ტურისტულ ინფორმაციას;

ე) აფუძნებენ ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებს, სხვა სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, გაერთიანებებსა და კავშირებს;

ვ) უფლება აქვთ გაწევრიანდნენ საქართველოსა და საერთაშორისო პროფილურ (ტურიზმი) ორგანიზაციებში;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობენ ბავშვთა და ახალგაზრდული ბანაკების საქმიანობაში;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უშუალოდ ან სხვა პირთა მეშვეობით ახდენენ ტურისტთა აღრიცხვას და უზრუნველყოფენ ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 5. ტურიზმის თვითრეგულაცია

1. ტურიზმის თვითრეგულაციის სფეროები:

ა) ტურისტული საქმიანობის, ტურისტული პროდუქტის, ტურისტული ბაზრის ხარისხისა და სტანდარტების შემუშავება, დამკვიდრება და დაცვა;

ბ) ტურისტული საქმიანობის ეთიკის ნორმების შემუშავება, დამკვიდრება და დაცვა;

გ) დარგის სუბიექტთა პერსონალის პროფესიული მომზადება;

დ) დარგის სუბიექტთა პერსონალის პროფესიული სტანდარტების შემუშავება, დამკვიდრება და დაცვა.

2. ტურიზმის თვითრეგულაციისათვის დარგის სუბიექტები უფლებამოსილნი არიან შექმნან პროფესიული ორგანიზაციები.

3. დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო, როგორც წესი, ტურისტული საქმიანობის, ტურისტული პროდუქტის, ტურისტული ბაზრის ხარისხისა და სტანდარტების, აგრეთვე პერსონალის პროფესიული სტანდარტების შემუშავებისას ხელმძღვანელობს და აღიარებს დარგის სუბიექტების გაერთიანებათა მიერ მიწოდებულ მონაცემებს. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ტურისტული საქმიანობის, ტურისტული პროდუქტის, ტურისტული ბაზრის ხარისხისა და სტანდარტების, აგრეთვე პერსონალის პროფესიული სტანდარტების აღიარების წესს ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

მუხლი 6. დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო

1. ტურიზმისა და კურორტების სფეროში მმართველობის ფუნქციას ასრულებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო.

2. დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო:

ა) შეიმუშავებს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარუდგენს ტურიზმისა და კურორტების განვითარების რესპუბლიკური კონცეფციის ძირითად მიმართულებებს, მისი განხორციელების პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ რეალიზაციას;

ბ) ხელს უწყობს ტურიზმის დარგში ინვესტიციების მოზიდვას;

გ) ხელს უწყობს სასწავლო პროგრამებისა და დაწესებულებების შექმნას, ტურისტული ინდუსტრიის კადრების მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

დ) უზრუნველყოფს ტურიზმისა და კურორტების დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას, სპეციალისტების პროფესიულ ზრდასა და სრულყოფას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმის სტატისტიკური მონაცემების ბანკის შექმნას, განახლებასა და მონაცემების ხელმისაწვდომობას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უშუალოდ ან სხვა პირთა მეშვეობით უზრუნველყოფს ტურისტული ბაზრის ხარისხის ამაღლებას;

ზ) ტურიზმის სფეროში ორგანიზაციას უწევს საგამომცემლო და სარეკლამო საქმიანობას;

თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურისტულ-საკურორტო პოტენციალის წარმოჩენის მიზნით აწყობს და/ან მონაწილეობს ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში;

ი) შეიმუშავებს ახალი საკურორტო ადგილების კვლევის პროგრამებს და უშუალოდ ან სხვა პირთა მეშვეობით უზრუნველყოფს მათ შესრულებას;

კ) უზრუნველყოფს ამ კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა კანონების და ტურიზმის სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების შესრულებას;

ლ) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობითა და საკუთარი დებულებით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.

3. დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო, მისი კომპეტენცია და სტრუქტურა განისაზღვრება დებულებით, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბ-ლიკის მთავრობა.

მუხლი 7. ტურიზმის განვითარების ფინანსური უზრუნველყოფა

1. ტურიზმის განვითარება ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წყაროების ხარჯზე.

2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმისა და კურორტების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავების, ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, ტურისტული და ბუნებრივი რესურსების, კურორტებისა და საკურორტო ადგილების რეკლამის, პროპაგანდისა და მეცნიერული უზრუნველ-ყოფის მიზნით თანხები გამოიყოფა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბ-ლიკური ბიუჯეტიდან.

3. დარგის საბიუჯეტო დაფინანსება, როგორც წესი, ხორციელდება პროგრამულად.

4. დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ დარგის სუბიექტთა და მათი გაერთიანებების:

ა) მონაწილეობას პროგრამების შემუშავებაში;

ბ) მათ მიერ წარდგენილი პროგრამების განხილვას და მოწონების შემთხვევაში ბიუჯეტში გათვალისწინებას.

მუხლი 8. ტურისტული ორგანიზაციების გაერთიანება

1. დარგის სუბიექტებს, სამეწარმეო საქმიანობის კოორდინაციისათვის, აგრეთვე საერთო ინტერესების დაცვისათვის, სტანდარტებისა და საქმიანობის ეთიკური ნორმების შემუშავებისათვის, შეუძლიათ საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნან არასამეწარმეო პროფილური გაერთიანება.

2. დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანო (უშუალოდ ან სხვა პირებთან ერთად), ტურიზმის თვითრეგულაციის, დარგის სუბიექტთა და პროფესიულ გაერთიანებათა სტიმულირებისა და მხარდაჭერისათვის, აგრეთვე ჯეროვანი კონკურენციისათვის ყოველწლიურად უზრუნველყოფს თემატური, პროფილური თუ სხვა კონკურსების ჩატარებას და კონკურსის შედეგების გათვალისწინებით წარმართავს მომავალი წლის საქმიანობას.

მუხლი 9. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა ამ კანონის ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში შეიმუშაოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინოს წინადადებები ტურიზმის სფეროს თვითრეგულაციის სტიმულირების ღონისძიებათა შესახებ.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ ტურიზმის დარგის სტიმულირების ღონისძიებათა განხილვა და მათი პრაქტიკული რეალიზაცია დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით.

მუხლი 10. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,
2007 წლის 16 მაისი
N249-უ.ს.გ.ს.